

მდინარე ძირულას ჰიდროლოგიური რეჟიმის შეფასება და მისი წყალსამეურნეო
გამოყენება

ნიკა გელაშვილი

ელ-ფოსტა: nika.gelashvili4745@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, 0179, თბილისი

საქართველოს მდინარეთა წყლის რესურსების გამოყენების მიმდინარე ტენდენციების მიხედვით წყლის რაოდენობა და ხარისხი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ევროპული გამოცდილების მიხედვით წყლის რესურსების გამოყენების დაგეგმვა გაცილებით ეფექტურია სააუზო მართვის დონეზე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია წყლის რესურსის არა მხოლოდ ენერგეტიკული არამედ კომპლექსური დანიშნულებით გამოყენებაც.

წყლის რესურსების ეფექტური მართვისათვის შეფასებული გვაქვს მდინარე ძირულას ჰიდროლოგიური რეჟიმი. კერძოდ განხილულია საშუალო წლიური ხარჯები, ჩამონადენის შიგაწლიური განაწილება, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯები, მყარი ნატანი და სხვა. გაანგარიშებებისას გამოიყენებულია ჰიდროლოგიაში მიღებული ტრადიციული მეთოდოლოგია და შედარებულია სხვადასხვა მეთოდებით მიღებული სიდიდეები. შედეგები საკმაოდ რეპრეზენტატიულია. წყლის რესურსების შეფასებულია ასევე მდინარეთა ცალკეული ქვეაუზებისათვის.

მდინარე ძირულას წყლის რაოდენობრივი მახასიათებლების ანალიზის შედეგად ჩამონადენის მოცულობა აუზური მართვის შემთხვევაში სავსებით საკმარისია სხვადასხვა ტიპის წყალმომხმარებლების სრულად უზრუნველყოფის მიზნით.